სხვისი შვილი, ჩემი შვილი

არც თუ ისე შესავალი

რაც ფეხი მოიტეხა, ვერა და ვერ გასწორდა და ბოლო ორი კვირა ლოგინადაა. მაგ ქალს რომ რამე მოუვიდეს, ბავშვს ბავშვთა სახლში გადაიყვანენ, რადგან ყველა ნათესავმა უარი თქვა წაყვანაზეო, ბანკის თანამშრომელმა გოგოებმა მითხრეს, ყავას რომ ვსვამდით.

არა და ყველა ,,შავი სამუშაო“ ეხერხება და ვისაც არ ეზარება, ამუშავებს ერთი თეფში საჭმლის საფასურადო, ბრაზობდნენ გოგოები. რამდენჯერ ტკბილეული შეგვიძლევია და არ გვართმევს. რადგან არაფერს ვავალებთ, ჰგონია არ ეკუთვნისო...

მეუღლეს გავხედე, რომელიც იქვე იჯდა და შეჭმუხნული წარბების ქვემოდან ახლადნაყიდ გაზეთს კითხულობდა, ვითომ-ვითომ.

ჩემი ქმარი ხევსურია. ადვილად ვერ შეატყობთ დრტვინვას. ვერც სიხარულს შეატყობთ ადვილად. მისი ბედნიერი სახე რომ დაინახოთ, ახლო-მახლო ტყეში უნდა სდიოთ და ნახავთ, როგორ უბრწყინდება სახე პანტა-მაჟალოზე თავის გაკეთებულ ნამყენებს რომ ხედავს გახარებულს.

ყველა თავისებურად ცდილობს კლიმატის ცვლილებებიდან გამოწვეულ ბუნებრივ კატაკლიზმებს ებრძოლოს. ჩემი ინჟინერ-ეკონომისტი ხევსური ქმარი, ასე: წავა, წამოუწვება, ეს ას ორმოცკილოიანი კაცი, ხეს ძირში და ამყნობს. რამდენჯერ მივვარდნილვარ, წაქცეული რომ მგონებია. ის კი წევს და სულს უბერავს დედამიწას, მშვიდად ახვევს ლენტით ხეზე კვირტს. მაგრად აკრავს, უცხო სხეულს რომ შეუხორცდეს.

მერე დადის და ამოწმებს, რა ქნეს. გაიხარეს, თუ გაუჭირდათ. გახმაო არ იტყვის, უჭირსო, ან ვერ გაქაჩაო.

ერთხელ სამი თვე ნამავდა ტილოში გადახვეულ მსხვილი ჯიშის წაბლის ნაყოფს. ლამის დაობდა, მაგრამ არ მოეშვა. ხოლო როცა ღივმა ხაოიანი კანი გახეთქა და ზედიზედ წამოიღო ძარღვიანი ფოთლები, კიდევ სამი წელი ზარდა სახლში. მერე ახლოს, ტყეში გადარგო და ყოველ დღე ოცლიტრიანი ბოცებით უზიდავდა წყალს.

მაშინაც ძალიან უხაროდა, როცა სამსახურიდან მივლინებული, ერთ-ერთი შეხვედრიდან დაბრუნებულმა გვახარა, ჩვენს მუნიციპალიტეტში, მერიის შენობის თავზე მზის ენერგიაზე მომუშავე პანელები დადგება, შიდა და გარე განათებასაც მთლიანად მოიცავს და თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, რამხელა საქმე და წინ გადადგმული ნაბიჯიაო. სამწუხაროდ, მალევე კოვიდმა მოგვისწრო. შიშიანობამ რომ გადაირა, ისე მოხდა, პროექტი მთაში წავიდა. უკეთესიაო, იძახდა. მთასა და სოფლებს უფრო სჭირდება, სოფელი და მთა ქვეყანასო.

და როცა მძიმე ოპერაციის წინ ფანჯრიდან ტყისკენ იყურებოდა, დარდობდა ჩემზე, შვილზე რომელიც არ გვყავდა და ალბათ იმაზეც, ტყეში ნამყენები რომ დაელოდებოდნენ, სად დაიკარგა ის კაცი, წყალს რომ გვისხამდა და გველაპარაკებოდაო.

იქამდე, აქტიურად დადიოდა შეხვედრებზე, მზის

მაგრამ ეს ამბავი სულაც არ არის დინჯ ხევსურზე.

მთავარი თავი

ბანკის წინ ცხოვრობდნენ ბებო-შვილიშვილი. მინებიანი შენობიდან განსაკუთრებით კარგად ჩანდა სევდით დამდნარი სახლი და ამ სახლის საღებავაქერცლილ ხის კიბეზე ჩამომჯდარი, ბატის ბუმბულივით თეთრი ბიჭის დამფრთხალი თვალები. არც დედა, აღარც მამა, აღარც ბიძა, აღარც პაპა... ხმელ ხეს რომ ძირიდან პატარა ამონაყარი ამოეკვრება, ისე იყვნენ ბებო-შვილიშვილი.

იქამდე კი ამბავი იყო ასე.

ბავშვი დატოვა დედამ... თუ არ გაატანეს... ფრთები მოაჭრეს და მოხუცი ბებოს კალთას ამოაკერეს წლინახევრის, უშვილძიროდ გადავლილი ბიძის მოსახელე, ერთადერთი მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი. უსიხარულოდ დარჩენილი ოჯახის შვება და ნათელი წერტილი. თავადაც მართლა წერტილა ბიჭი, თეთრი ძაფით მიაბლანდეს შავკაბიან ბებოს.

და რა უნდა ყოფილიყო მაშინ იმაზე სევდიანი, ვიდრე საბავშვო ბაღში მიმავალი დარდიანი პაპის მოხრილ მხრებზე მჯდარი, ბატის ბუმბულივით თეთრი, უფრთო ბიჭის დანახვა.

შემდგომ, როგორც ასეთი შემთხვევების უმეტესობისას ხდება, მამა ალალი კაცის სადარდებლით გალოთდა და სასმლის საყიდელი ფულის საშოვნად, ძირძველი ოჯახიდან, წინაპრების ნაჯაფ-ნაკოწიწები ნივთები გაჰყვა და გაჰყვა ერთმანეთს. მერე, მამამ იავადა და გაყიდვას გადარჩენილ სარკეებიან მუხის ავეჯზე თეთრი ზეწრები ჩამოაფარე. მალე დარდიანი პაპაც წავიდა უხმოდ და ისევ ჩამოაფარეს სარკეებს თეთრი ზეწრები. ...და როცა ბებოც წავიდა, აღარაფერი იყო სახლში, ზეწარჩამოსაფარებელი.

ჩავარდაო, ყავის სმისას რომ თქვეს გოგოებმა, ჩავაკითხე. მიმყავს-მეთქი შენი გიორგი და არ იდარდო. გაწყალებული თვალებით გადმომხედა. ტყუილი ყოფილა, რასაც კინოში გვაჩვენებენ. ხელზე ხელიც ვერ მომიჭირა მოხუცმა, ძალა აღარ ეყო.

...და წამოვიყვანე. თორმეტი წლის იყო მაშინ გიორგი. ჯერ არც დიდი და აღარც პატარა. სწრაფად ჩაალაგა ჩანთა და რაღაც დიდის მოლოდინით გამომყვა. გამომყვა და ამომეკრა, როგორც ახლად აჭრილი კვირტი ახალ საძირეს.

ოცდაერთი სექტემბრის საღამო იყო.

მომდევნო ორი დღე რთული, მაგრამ შესაძლებელი მომავლის დასახვაში გავატარეთ და არაფერი იყო ამ გეგმაში აუხდენელი. მესამე დღეს სულთან ჭიდილში მყოფი ბებოც წავიდა. დღემდე ვფიქრობ, რომ წავიდა მშვიდად, რამეთუ მისი ოჯახისერთა დაიგულა სამშვიდობოს. არ უტირია გიორგის ბებოს გარდაცვალება. უბრალოდ მუცელი ასტკივდა.

და ის-ის იყო, კვირტმა შეხორცება დაიწყო... იქ დაიწყო რაც დაიწყო.

აბაო, ღმერთმა... მოდი ერთი შენი ვითომ კეთილი გული, მტკიცე ნება და გამძლეობა გამოვცადოთო და იმ წელს თუ კი რამ მომავლის გეგმა მქონდა აწყობილი-დაწყობილი, აშენებულ-დაშენებული, დავკარგე. დავკარგე შემოსავალიც. დავრჩით მეუღლის ხელფასის, გადასახდელი კრედიტისა და დასახული მომავლის დიდი გეგმების ამარა. ფაქტი დადგა, შევძლებდი კი იმ დიდი ტვირთის ზიდვას, რასაც სხვისი შვილი დამაკისრებდა.

რა უნდა მექნა?! მშვიდად ავდექი და ფრთები მოვიხსენი. უფრო სწორად, ზურგიდან ავიხიე და ახალი რეალობის შეგუების პროცესში მყოფ გიორგის დავუმაგრე მაგრად რომ შეხორცებოდა. სტკიოდა, მაგრამ ნათქვამია, გამარჯვებულის ჭრილობები მალე ხორცდებაო და გიორგიმაც შეიხორცა.

და დაიწყო დიდი თავგადასავალი. მომდევნო თვეები იმ ,,ახლობლებისა და კეთილმოსურნეების“ მოგერიებაში გავატარეთ, რომლებიც ბავშვს მას მერე გამოუჩნდნენ, რაც ჩვენთან წამოვიდა.

თავიდან კვირა არ გავიდოდა, სკოლიდან თითო ნაცემ-ნაბეგვი ბავშვის მშობელს არ მოეკითხებინა სახლში, საჩივრით. გავუღიმებდი-ხოლმე და ვპირდებოდი, რომ მეტს აღარ იზამდა.

რა იცოდნენ მათ, რა გზას გავდიოდით ჩვენ...

ყოველ დღე როგორ ვიღდგენდით გაცდენილ წლებს. როგორ ვსწავლობდით ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქს, სოფელს, მთას, მდინარეს, კენჭს. როგორ გადავედით მსოფლიო დედაქალაქებზე, გავცდით პლანეტას... და ღამე მძინარე გიორგის ყურებისას, როგორ ვბღაოდი გულში, რომ არათუ ამ კონტინენტზე, ამ პლანეტაზეც კი არ დადიოდა არავინ მისი სისხლი და ხორცის, ვისაც დარდი ექნებოდა ამ ოდესღაც ბატის ბუმბულივით თეთრი და ცხვირზე ჭორფლიანი, სხვის ფრთებშეხორცებული ბიჭის. რომ მცოდნოდა, არსებობდა, იქნებ დარდში შემშველებოდა. რადგან შეჭიდებულს ალთასა და ბალთას არ მქონდა ფუფუნება, ვყოფილიყავი ნაზი და მზრუნველი. გარდა ღამისა, როცა საბანს ვუსწორებდი ბუტბუტით, ღმერთო, შენ შეაძლებინე შეძლოს შეუძლებელი, გთხოვ!

და ვიყავი ზედმეტად მკაცრი. სხვანაირად როგორ?! მე ხომ ფრთები აღარ მქონდა?! წინ დასაპყრობი მწვერვალები აღმართულიყვნენ. ამ საქმეს კი სისუსტე და დათმობა არ უყვარს.

ალბათ ამიტომ ვერ ვიტირე მშობლების გარდაცვალებისას. გიორგის რომ გავხედე, ვერ ვიტირე. უბრალოდ მეც მუცელი ამტკივდა.

...

დროს ერთი უცნაური თვისება აქვს. როცა გინდა ბევრი მოასწრო, სწორედ მაშინ იწყებს შენს მიღმა სწრაფად სვლას.

ვერ ვეგუებოდი და ქვეცნობიერის დონეზეც კი არ ვაღიარებდი, რომ სამსახური რომელიც ჩემი ოჯახის ასე თუ ისე, უზრუნველი მომავლის გარანტიად მეგულებოდა, აღარ მქონდა.

ის ქუჩა, რომელიც ასე მიყვარდა მთელი შვიდი წელი, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებით, დარჩა შორს.

ვხვდებოდი, რეალობას ვერ გავექცეოდი, მაგრამ რაღაც მომენტში შემეძლო გონებაში მისი ,,გადავადება“.

იმ დღესაც, სადღაც დილის ხუთის ნახევარი იქნებოდა. ტელევიზორში რაღაც ფილმი დამთავრდა და მაშინვე სხვა დაიწყო, ბიბლიურ მეფე დავით წინასწარმეტყველზე.

სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ, სასკოლო პროგრამაში შეგვხვდა ეს თემა დავალებების ნაწილში. რადგან წიგნის თხოვება მოგვიწია, თანაც გაკვეთილებსაც ყოველთვის ვიბარებდი, შინაარსი კარგად მახსოვდა... (მაშინ ასე მეგონა).

ფილმის დაწყებისას ჩემთვის გავიფიქრე, რა კარგია რომ ტელეგადაცემები სასკოლო პროგრამებზეა მორგებული, მოსწავლისთვის მასალის უკეთ აღსაქმელად-მეთქი, მაგრამ... მეუცნაურა, დილის ამ დროს, განა ვინ ნახავს?! და რატომღაც ფილმისა და ნაწარმოების შედარების მიზნით ყურება გადავწყვიტე.

ცრემლად დავიღვარე.

ფილმი რომ დასრულდა უკვე გათენებულიყო. მძიმე ემოციისა და განცდების გარდა , სიუჟეტიდან თითქმის არაფერი მახსოვდა.

აბაზანაში შევედი. წყალს შევუდექი და თვალები ისე დავხუჭე, მეტკინა. სიბნელეში, შავ-მოვერცხლისფრო განზომილებებიდან წითელი უდაბნო ამოიყარა და ფილმის კადრებმა ელვის სისწრაფით დაიწყეს მოძრაობა.

,,ღმერთმა მომცა და ღმერთმა წამართვა, მიწყალე მე ღმერთო...“ ბერსაბესგან შობილ საყვარელი შვილის სიკვდილისას ამბობს დავითი და უფრო მეტად მიმძიმებს სულს. მერე დავითის ხმა და სახება ქრება და თავად ვიმეორებ გულში“

,,ღმერთმა მომცა და ღმერთმა წამართვა“, მადლობა ღმერთს.

,,ღმერთი თავად მიგიყვანს იქ, სადაც შენი მისიაა“.

შ ე ნ ი მ ი ს ი ა! შ ე ნ ი მ ი ს ი ა! ამეკვიატა.

როგორც უცაბედად მოსული თავსხმა წვიმა ჩამორეცხავს გზაზე მდგარი ხის, მტვრისგან გადათეთრებულ ფოთლებს; როგორც კლდის წვერიდან გადმოგდებული ლოდი იმსხვრება ნაწილებად, ისე ჩამომეღვარა ფიქრი თავიდან და ჩამომცვივდა მხრებიდან ლოდები.

ღმერთო ჩემო, ჩემო ღმერთო... რამდენად ადრე დაგიწერია ჩემი მისია.

რადგან ის, რაც იმ ,,ჩემს საყვარელ“ ქუჩაზე მქონდა, მიყვარდა და მეიმედებოდა, მომეცა ერთისთვის, მეპოვნა დილა-საღამოს ავლილ-ჩავლილი, ბატის ბუმბულივით თეთრი და ცხვირზე ჭორფლდაყრილი ბიჭი, რომელსაც ფრთები არ დაჰყოლია. ...რომ როცა იგი, სამყაროში სრულიად მარტო დარჩებოდა... მარტო არ დარჩენილიყო.

რომ მე კი არ ვარ აქ მთავარი, არსთა გამრიგეს აქვს თავისი გეგმები ამ ბავშვის მიმართ!

დღეს კი როცა სათუთად ვწმენდ მტვერს მის ოქროს მედალს, სიგელებსა და დიპლომებს ვიღიმი. საგნებს კი არა, იმ წლების სირთულეებს ვუღიმი, რქები რომ მოვამტვრიეთ ჩვენი სიჯიუტით.

იმ ხალხის გაცრუებულ იმედებსაც ვუღიმი, ზოგს რა რომ ეგონათ და ზოგს რა. ყველას და ყველაფერს ვუღიმის, რადგან ჩემი ფრთები, ჩემი შვილის მხრებზე იწყებს გაშლას ფართოდ და ლამაზად.

და როცა ყველა სიძნელე უკანაა, დღეს გეტყვით, ათასმაგია პასუხისმგებლობა შენი ,,სხვისი შვილის“ მიმართ და ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც, თუ შეძლებთ, მიეცით თქვენი ფრთები იმ ბავშვებს, რომლებსაც ფრთები არ დაჰყოლიათ.

ავტორი: ასტერიქსი (ფსევდონიმი)